

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 8: დანაშაულის ტენდენციები



თანამედროვე მონობა, ადამიანებით ვაჭრობა, ეკოლოგიური დანაშაული და ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება საზოგადოებისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. პროფესიონალი ბუღალტრები ორმხრივ როლს თამაშობენ ამ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის იმით, რომ ისინი არ მოქმედებენ უნებლიედ, როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის პროფესიონალი ხელშემწყობები და მეორე, სახელმწიფო ორგანოებს წარუდგენენ საეჭვო საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

ნარკოტიკები

ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად პირველად ფოკუსირება მოხდა ნარკოტიკულ დანაშაულზე, როდესაც ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF)* დაფუძნდა 1989 წელს და იგი დღემდე რჩება ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მთავარ დანაშაულად. ყურადღება მიაქცევთ იმ არაორდინარულ ოპერაციებს, რომლებიც არაა დამახასიათებელი დამკვეთისთვის ან მისი საქმიანობისთვის, ისეთ ოპერაციებს, რომლებსაც არ აქვს აშკარა მიზანი, გაუგებარ ბიზნესმოდელს, ან იმ ფულადი სახსრების წყაროს, რომლის დადასტურება შეუძლებელია. ახალი აქტივები, როგორცაა, მაგალითად კრიპტოვალუტები და შეუცვლელი ტოკენები (NFTs), შეიძლება ახალი ინსტრუმენტები იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ ნარკოტიკულ ან სხვა დანაშაულთან დაკავშირებული ფულის გათეთრება კვლავ ფულის საშუალებით ხორციელდება.

ადამიანებით ვაჭრობა, თანამედროვე მონობა და სექსუალური ექსპლუატაცია

მსოფლიო მასშტაბით, დაახლოებით, 25 მილიონი ადამიანი იძულებითი შრომის ან/და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლია, რის შედეგადაც 150 მილიარდ დოლარზე მეტი უკანონო შემოსავალი წარმოიქმნება. უფრო მეტიც, ესენი საერთაშორისო დანაშაულის ყველაზე სწრაფად მზარდი ფორმებია, რომლებიც კონფლიქტით, კლიმატის ცვლილებით და სხვა მიზეზებით წარმოიქმნება.

პროფესიონალ ბუღალტრებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მსხვერპლთა დახმარებასა და დამნაშავეების გამოვლენაში იმით, რომ გამოიჩინონ სიფრთხილე ამგვარ დანაშაულებთან დაკავშირებული პოტენციური ინდიკატორების მიმართ, მათ შორის:

- ბუღალტრების გამოყენება ოპერაციებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, არ საჭიროებს პროფესიონალის ჩართულობას;
- რამდენიმე ანგარიშის/კორპორაციული სტრუქტურის არსებობა;
- პერსონალის ხარჯების საეჭვო ნაკლებობა;
- ფულადი გადარიცხვა მაღალი რისკის ქვეყნებში, ჩვეულებრივი საბანკო სისტემის გარეშე;
- ოჯახის აქტიური ჩართულობა ბიზნესში ან გარიგებებში;
- რთული ფინანსური ოპერაციები ბიზნესის მკაფიო რაციონალური საფუძვლის გარეშე;
- თანხების გადარიცხვების გადამისამართება სხვა ქვეყნებში, საბოლოო დანიშნულების ადგილზე მისვლამდე.
- მიღებული შემოსავლის/თანხების გადახდა განხორციელებული დღის უჩვეულო დროს ან რომელიც არ შეესაბამება დამკვეთის განსაზღვრულ სამუშაო საათებს.
- მაღალი ან/და ხშირი დანახარჯები აეროპორტებში, ნავსადგურებში, სხვა სატრანსპორტო კვანძებში ან საზღვარგარეთ, რაც არ შეესაბამება დამკვეთის განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობას.
- თანხების გადახდა ლოგისტიკაში, ავიაკომპანიებში, მანქანის დაქირავებაში ან ტურისტული აგენტისთვის, რაც არ შეესაბამება დამკვეთის განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობას.
- შედარებით მაღალი ან პერიოდული დანახარჯები ისეთ საგნებზე, რომლებიც არ შეესაბამება დამკვეთის განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობას, როგორცაა, მაგალითად კვება ან საცხოვრებელი უზრუნველყოფა.

დამატებითი ინფორმაციისთვის, მათ შორის ამ კატეგორიის ცალკეული დანაშაულისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლებისთვის იხილეთ FATF-ის პუბლიკაცია „ადამიანებით ვაჭრობის შედეგად მიღებული ფინანსური ფულადი ნაკადები“.

ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება (TBML)

TBML არის ფულის გათეთრების ახალი ტენდენცია და, რაც ყველაზე მთავარია, როგორც წესი, მოითხოვს კვალიფიციური პროფესიონალის დახმარებას. TBML სავაჭრო ოპერაციების გამოყენებით ნიღბავს დანაშაულებრივ საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს, მათი უკანონო წარმომავლობის ლეგიტიმაციისთვის ან ტერორიზმის დასაფინანსებლად. ამასთან, დამნაშავეებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ რიგ სხვა პოტენციურ უკანონო ქმედებებში, როგორცაა, მაგალითად ყალბი ანგარიშ-ფაქტურის მომზადება, საქონლის არასწორად (შეცდომით) კლასიფიცირება კონტროლის საშუალებების გვერდის ავლის მიზნით და სხვა საბაჟო და საგადასახადო დარღვევები.

არსებობს TBML-ის მრავალი რისკის მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ ფაქტორებს, სავაჭრო საქმიანობის ხასიათს, სავაჭრო დოკუმენტაციასთან ან საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ინდიკატორებს და ბუღალტერთან/ტრანზაქციების წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. პროფესიონალი ბუღალტრები, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ამ ტიპის საქმიანობაში მონაწილე დამკვეთებთან, სრულად უნდა გაეცნონ მიმდინარე ტენდენციებსა და რისკის ინდიკატორებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ FATF-ის პუბლიკაციები „**ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება: ტენდენციები და ცვლილებები**“ და „**ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება: რისკის მაჩვენებლები**“.

ტერორიზმის დაფინანსება

11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ FATF-ი ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის დაფინანსებაზე. ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებას შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ისაა, რომ ფულის გათეთრება ეხება ფულადი სახსრების წყაროს, ხოლო ტერორიზმის დაფინანსება - დანიშნულების ადგილს. საფრთხის მაუწყებელი ნიშნები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ:

- უწყება მდიაში იმის თაობაზე, რომ დამკვეთი მხარს უჭერს ტერორისტულ ორგანიზაციებს;
- არაორდინარული შესყიდვები;
- ფულადი სახსრების მიგრე ოდენობით გადარჩევები მაღალი რისკის ქვეყნებში ან მაღალი რისკის ქვეყნიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ FATF-ის პუბლიკაცია „**ტერორიზმის დაფინანსების ახალი რისკები**“.

კოვიდ-19-ის ფულის გათეთრება

დამნაშავეებმა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენეს პანდემია, რათა ჩაედინათ თაღლითობა და კიბერდანაშაული, გამოიყენებინათ ეკონომიკური სტიმულირების პაკეტი და მიეთვისებინათ საერთაშორისო ფინანსური დახმარება.

ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული ფინანსური მომსახურებისა და ვირტუალური აქტივების ფართო გამოყენება უკანონო სახსრების დამალვის ერთ-ერთი საშუალებაა. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შეზღუდული ფიზიკური ზედამხედველობა დამნაშავეებს ორგანიზაციის პოტენციური სუსტი მხარეების საკუთარი სარგებლობისთვის გამოყენების საშუალებას აძლევს. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება:

- ფიზიკური ელფოსტის მეშვეობით/მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნით;
- ყალბი საქველმოქმედო ორგანიზაციები და საინვესტიციო თაღლითობა;
- დაჟინებული ზეწოლა დიუ დილიჯენსის შემოწმების და კონტროლის გვერდის ავლაზე;
- სახელმწიფო გრანტების არასწორი ავტორიზაცია .
- არაორდინარული ტრანზაქციები და ფულადი ნაკადები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ FATF-ის პუბლიკაცია „**კოვიდ-19-თან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის რისკები**“.

ეკოლოგიური დანაშაული და გარეული ცხოველებით უკანონო ვაჭრობა

საფრთხის მაუწყებელი ნიშნები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ:

- თქვენს დამკვეთს არ შეუძლია წარმოადგინოს ადგილობრივ გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცებულება;
- შესყიდვები ან კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციები იმ პირების მიერ, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა მოცემული სექტორის შესახებ;
- დაუსაბუთებელი გადარჩევები, რომლებშიც მონაწილეობენ ბუნებრივი რესურსების მართვასთან/დაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მქონე მაღალრისკის ნიშნები.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ FATF-ის პუბლიკაციები „**ფულის გათეთრება ეკოლოგიური დანაშაული**“ და „**ფულის გათეთრება და გარეული ცხოველებით უკანონო ვაჭრობა**“.

კორუფცია და ფულის გათეთრება

საფრთხის მაუწყებელი ნიშნები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ:

- პირები ან საწარმოები/ორგანიზაციები გაზეთებში ან საგამომცემო განცხადებებში ნახსენები არიან, როგორც მექრთამეობაში ან კორუფციაში მონაწილენი;
- ტრანზაქცია ან მასში მონაწილე მხარე იმ ქვეყანაშია, რომელშიც ფართოდაა გავრცელებული კორუფცია;
- საწარმო, რომელსაც არ აქვს სათანადო შესაბამისობის პროგრამა ან ქვეცის კოდექსი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ FATF-ის პუბლიკაცია „**კორუფციის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრება**“.



პროფესიონალი ფულის გათეთრებლები

ფულის გათეთრების სექტორში სულ უფრო რთულდება. FATF-ის პუბლიკაციაში „პროფესიონალი ფულის გათეთრება“ დეტალურად არის აღწერილი ფულის გათეთრების უახლესი პრაქტიკა, რომელსაც ახლავს 25 რეალური მაგალითი.



ანგარიშის წარდგენა საეჭვო საქმიანობის შესახებ („SAR“)

თუ ეჭვი გაქვთ, რომ ჩადენილია კრიმინალური დანაშაული, ფინანსური მონიტორინგის ადგილობრივ ორგანოს წარუდგინეთ ანგარიში საეჭვო საქმიანობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროფესიონალი ბუღალტრის სამართლებრივი ვალდებულებაა.

დამატებითი დახმარება



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ FATF-ის „**სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტრების პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ**“, ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მათ შორის, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ, დაუკავშირდით ბუღალტერთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.



529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 |

@ifac | ifac company/ifac

www.icaew.com



@icaew | ifac company/icaew

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულისგათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 8: კრიმინალური ტენდენციები“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, არც მისგან გამომდინარე არანაირ ქმედებაზე.

„ფულისგათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 8: კრიმინალური ტენდენციები“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2022], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულისგათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 8: კრიმინალური ტენდენციები“ - ქართულენოვანი ვერსია © [2022], IFAC. ყველა უფლება დაცულია

სათაური ინგლისურ ენაზე: *Anti-money laundering: The Basics _Installment8: Crime Trends.*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org